პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! პარასკევი, 9 იანვარი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 5 (693) 1-ლი და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის., ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ამა წლის 9 იანვარს პარასკევს 6 საათზე პოლიტ-განყოფილებაში დანიშნულია ზურგს უკან მდგომ ნაწილების გაერთიანებული კრება, სადაც ევალებათ დასწრება შემდეგ უჯრედებს:

1) პოლიტ-განყოფილების,
2) ევკორპუსის,
3) დივლაზარეთის და
4) სამხედრო ტრიბუნალის ყველა წევრებს, კანდიდატებს და კომკავშირელებს.

**დღის წესრიგი:**

1. მოხსენება მომავალი პარტ-გაწმენდის შესახებ—პარტიის არა პროლეტარულ ელემენტებისაგან.
2. მიმდინარე კითხვები.

პოლიტ-განყოფილება.

## განვამტკიცოთ დისციპლინა.

დისციპლინის განმტკიცება და მისი გაღრმავება წარმოადგენს ერთ ერთ ჩვენ ძირითად ამოცანას. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია რესპუბლიკის რევოლიუციონურ საბჭოს უკანასკნელმა პლენუმმა. ამიტომ წითელი ჯარის თითეულმა მუშაკმა დაწყებული მეთაურიდან და გათავებული წითელ არმიელით, ხელი უნდა შეუწყოს ამ დისციპლინის განმტკიცებას. უდისციპლინო ჯარი არაფრათ არ ვარგა, ის მხოლოდ ზედმეტი ბარგია სახელმწიფოსი. მაგრამ ძლიერი და უძლეველია ის ჯარი, რომელშიდაც გამეფებულია მტკიცე, შეგნებული დისციპლინა. ასეთი ჯარი ერთად ერთი არის მსოფლიოში-წითელი არმია. სწორედ რომ თავისი რევოლიუციონური და შეგნებული დისციპლინით ის არის დაუძლეველი. წითელი არმიის დისციპლინაა—რევოლიუციონური დისციპლინა.

ბურჟუაზიული არმიის დისციპლინა კი ჯოხზე და მორჩილებებზეა აშენებული.

ჩვენი წითელი არმია ერთი ნაჭერისაგან, მშრომელი ხალხისაგან არის გამოკვეთილი. იმპერიალისტური არმია კი შედგება ორი მოპირდაპირე ბანაკისაგან. წითელ არმიაში რიგის ჯარის კაცი და მეთაური—ყველა მშრომელი ხალხის შვილებია.

ბურჟუაზიულ, იმპერიალისტურ ჯარში კი ჯარის კაცი მშრომელთა მასიდანაა, მეთაური კი თავადი ან ბურჟუაზიული წრიდან გამოსული პირონებაა. ბურჟუაზიული არმიის დისციპლინა დამყარებულია ადამიანის ჩაგვრაზე, მის შეუგნებლობაზე და უსულო საგნად გადაქცევაზე. აქ კი, წითელ ჯარში დისციპლინა დაფუძნობილია თითეული წევრის რევოლიუციონურ შეგნებაზე. და რამდენათ დიდია ეს შეგნება, რამდენად ის ღრმად არის გამჯდარი თითეულ ჩვენთაგანში, იმდენად მტკიცე იქნება წითელი ჯარის დისციპლინაც.

წითელ არმიელთა და მეთაურთა შორის არ არსებობს ის გარდაუვალი ზღვარი, რომელიც კაპიტალისტურ არმიებშია. აქ ყველა ამხანაგებია. მაგრამ ერთი განსხვავებით. მეთაური მომზადებული, გამოცდილი მეომარია, ხოლო წითელი არმიელი კი მისი მოწაფე. ამიტომაც ყოველივე განკარგულებას უფროსი ამხანაგისას, თითეული წითელ არმიელი უნდა დაემორჩილოს მთელი თავისი რევოლიუციონური შეგნებით. წესრიგი, თავის მოვალეობისადმი სიყვარულით მოპყრობა და მისი სწრაფად შესრულება უნდა ახასიათებდეს თითეულ წითელ არმიელს, თითეულ წითელ მეთაურს.

ჩვენი დისციპლინა ზევიდანაც და ქვევიდანაც შენდება—ე. ი. დისციპლინის დამცველნი მისი განმტკიცებელნი უნდა იყვნენ, არა მარტო მეთაურები, სამხკომები, არამედ თვით წითელ არმიელთა მასებიც. თითეულმა წითელ არმიელმა უნდა ეცადოს, რომ დისციპლინის მხრივ ის სხვისი მაგალითი იყოს.

არის შემთხვევები, როდესაც ხდება დისციპლინის გადამახინჯება, შეუსრულებლობა—ამას ჩვენ სასტიკათ შევებრძოლებით.

ზარმაცობას, გულგრილობას და ყალთაბანდობას არ აქვს ჩვენს რიგებში ადგილი. ამის ადგილია მხოლოდ იმპერიალისტურ ჯარში, სადაც მონობა და მათრახია გამეფებული. წითელ არმიაში, რომელსაც ისტორიამ დაავალა უდიდესი საქმე-მშრომელთა განთავისუფლება, ადგილი აქვს მხოლოდ ფოლად რევოლიუციონურ დისციპლინას, მთელი შემადგენლობის მტკიცე შემჭიდროვებას და შედუღებას.

დისციპლინა, დისციპლინა და კიდევ დისციპლინა—აი რა უნდა ახსოვდეს თითეულ წითელ მებრძოლს!

## ეშინიათ პერსელის ჯგუფის.

მე-2-ე ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომაზე ირჩეოდა საკითხი თუ სად უნდა დარჩეს მომავალში სეკრეტარიატის სამყოფი ადგილი.

გერმანიის და საფრანგეთის დელეგატები სცდილობდენ სეკრეტარიატის გადატანას ლონდონიდან. მათ სურვილს სარჩულად უძევს ის, რომ ინგლისის მუშათა პარტია ევროპის სოციალისტურ პარტიებზე მარცხნით დგას და ამიტომ ეშინიათ გავლენა არ მოახდინონ სეკრეტარიატის მუშაობაზეო.

## მოჯადოებული ადგილი.

„რუსეთის“ დელეგატები (მენშევიკები, ესერები, ქართველები, ესტონელები და სხვა) კამათში გამოდიოდენ ერთიანი ფრონტით ინგლისის მუშათა პარტიის წინააღმდეგ და აშკარად სდებდენ ბრალს ინგლისელებს ბოლშევიკების „ხელის შეწყობაში“. მაგრამ ინგლისის დელეგაციამ მაინც სძლია მათი სეკრეტარიატის სამყოფი ადგილის საკითხში: ის რჩება ლონდონში.

კონფერენციის ერთმა გამოჩენილმა წევრმა როსტას კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ მაშინაც კი, როცა კონფერენცია არ მსჯელობს რუსეთის საკითხის გარშემო, ის მაინც წარმოადგენს მთავარ თემას და გამოსჭვივის ყოველ საკითხში.

## რადიჩის დაპატიმრება.

დაპატიმრეს ხორვატიის გლეხთა პარტიის ბელადი რადიჩი.

სამხრეთ-სლავიის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით გაჩხრეკის დროს რადიჩის საიდუმლო არქივში ვითომდა აღმოჩნდა წერილები კრასინისა და სმირნოვის ხელის მოწერით.

რადიჩმა და სხვა დაპატიმრებულმა ბელადებმა პროტესტი განაცხადეს დეპუტატის შეუვალობის დარღვევის გამო და არ უპასუხებენ შეკითხვებზე.

## გაცხოველებული კამპანია ინგლისის დელეგაციის წინააღმდეგ. საფრანგეთის სოციალისტებს არ მოეწონათ სიმართლე ჩვენს შესახებ.

საფრანგეთის სოციალისტები შეუდგენ გაცხოველებულ კამპანიას ინგლისის დელეგაციის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის შესახებ ანგარიშის წარდგენისათვის.

სოციალისტების გაზ. „პეპლი“ სწერს, რომ დელეგაციამ თავი მოატყუებინა კომუნისტებს. მათი შეცდომა იმაშია, რომ, ისინი არ დაკმაყოფილდენ ეკონომიური მდგომარეობის შესწავლით და გადავარდენ პოლიტიკაში. დელეგაცია ჩქარი ნაბიჯით მოგზაურობდა და არ ჰქონია დრო სათანადოდ გასცნობოდა ფაქტებს.“

გაზეთი ამტკიცებს, რომ დელეგატებმა არ იცოდენ რუსული ენა და უნდა დანდობოდენ ვითომც საბჭოთა მთავრობის მიერ არჩეულ მთარგმნელებს. ბოლოს წერილში ნათქვამია, რომ პერსელი არც იმდენ დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო პროფმოძრაობაშიო.

## ერბეტი გამოემგზავრა მოსკოვში.

6 იანვარს მოსკოვში გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში საფრანგეთის ელჩად დანიშნული ჟან ერბეტი.

ერბეტს თან ახლავს საელჩოს მდივანი ჟაკ შარტიე, საელჩოს მრჩეველი დებუა ზანქე და კანცელარიის ორი თანამშრომელი.

ერბეტი გამოაცილეს კრასინმა, სენატორ დე-მონზიმ და რუსეთის ფასიან ქაღალდების მეპატრონეთა კომიტეტის დელეგაციამ.

## საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობა კარგად მიდის.

1924 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირსა და ნორვეგიის შორის ვაჭრობა ერთი-ორად გაიზარდა. ზოგიერთი წრეების იჭვები, რომ საბჭოთა კავშირი ვერ გაასწორებს წესიერად სავაჭრო გადასახადებსო—გაიფანტა.

საბჭოთა კავშირის კრედიტი საგრძნობლად გაიზარდა ნორვეგიის ვაჭარ-მრეწველთა შორის. პოლონეთთან ვაჭრობას, პირიქით, მნიშვნელოვანი ზარალი მოაქვს ნორვეგიისათვის.

## ლენინგრადის წყალდიდობის შესახებ.

### რა არის წყალდიდობის მიზეზი?

ამინდის გამომკვლევ ცენტრალურ ბიუროს გამგეთ პროფესორ კამინსკიმ წყალდიდობის მიზეზების შესახებ განაცხადა:

„ლენინგრადის წყალდიდობა დაკავშირებულია იმაზე, რომ კოლმტრომში (ბალტიის მდინარეთა ზღვაზე) წყალი ჩვეულებრივზე მეტად თბილი არის.

## ქალაქის საბჭოსთან სამხედრო სექციის დაარსების საჭიროების შესახებ.

წარსული პოლიტგანის უჯრედის კრებაზე მომხსენებელმა საბჭოს მუშაობის შესახებ აღნიშნა საბჭოს მუშაობის შედეგები და ზოგიერთი დეფექტები.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, სადაც გამოირკვა, რომ სხვა წვრილმანებთან ერთად დიდი ნაკლი აღმოჩნდა, რომელსაც კრებამ მეტი ყურადღება მიაქცია.

ეს იყო სამხედრო სექციის უქონლობა ქალაქის საბჭოსთან.

ეს დებულება წამოაყენა ამხ. კვირიკაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სამხედრო სექციები არსებობენ სხვა დიდ ქალაქებში (ბაქოში და სხვაგან) და ძით უმეტეს თბილისის საბჭოში უსათუოდ მეტი საჭიროება ასეთი სექციის დაარსების, გაუგებრობის ასაცილებლად მოკლეთ შეიძლება განმარტება, თუ რა უნდა გააკეთოს სექციამ საბჭოში.

როგორც ვიცით ჩვენი ნაწილები მრავლად არიან მოთავსებული ტფილისში და საჭიროა ნაწილების კომუნალური დაკმაყოფილება მაგალითად სინათლით, წყლით და სხვა საჭირო საგნებით.

ამას გარდა ბინის საკითხი მწვავედ დგას უფლებოლიტშემადგენლობისათვის.

ერთობ გამოუსვლელ მდგომარეობაშია და ყველა ამ კითხვებს სჭირდება მოწესრიგება.

ამ დიდ კითხვებს გარდა კიდევ გამოჩნდებიან ისეთი საკითხები, რომლებსაც დასჭირდება სათანადო პასუხის გაცემა. შეიძლება, ამ ჟამათ ჩვენი სამხედრო საკითხები საბჭოში იჭრებოდეს ჩვენს სასარგებლოთ, მაგრამ საკითხია, თუ რამდენათ თავის დროზე აკეთებენ ამას.

უქვეელია ნაწილებიდგან გაგზავნილ მიმართვებს ორჯერსამჯერ უნდა მიაკითხოს პასუხისმგებელ მოღუშავემ, რომ საქმე დაამთავროს, რადგან პასუხის მიღება ყოველთვის გვიანდება.

ასეთ საქმის დაგვიანებას სამხედრო უწყება ვერას დროს ვერ მოითმენს, რადგანაც მას ყოველთვის რიგზე უნდა ჰქონდეს ყველაფერი თანახმად ბრძანებისა.

ამიტომ როდესაც საბჭოში გვეყოლება საკუთარი სექცია, ყველა სამხედრო მიმართვებს მიიღებს აღნიშნული სექცია და ყველა კითხვებს საჩქაროთ მოაწესრიგებს.

ამას გარდა სექცია მიაქცევს ყურადღებას საბჭოს წევრების აქტიობას და მის უარყოფითი მხარეებს; და თუ საჭიროთ დაინახა, კიდევაც შეძლებს უვარგის წევრის გამორიცხვას საბჭოდგან. როგორც ხედავთ წარსულ საბჭოს არ ჰქონდა საკუთარი სექცია და ეხლა კი მისი არსებობა და შექმნა უსათუოდ დიდ საჭიროებას შეადგენს. ნათქვამია უკეთესია გვიან, ვიდრე არასოდესო. ახლოვდება არჩევნები და ყველა ნაწილებმა თავიანთ არჩეულ წევრებს სხვა დირექტივებთან ერთად უნდა მისცენ სამხედრო სექციის დაარსების დირექტივაც.

ს. ლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გამო ცხელდება ატლანტიური ოკეანეს წყალი. სწორედ ამ წყლის გათბობის გამო ატლანტიურ ოკეანეს ჩრდილოეთ ნაწილში ჩნდება ციკლონების (ქარი) მთავარი ცენტრები, რომლებიც მიდიან სკანდინავიისა და ბალტიის ზღვის მიმართულებით, ავრცელებს თავის მოქმედებას ლენინგრადის რაიონზე და იწვევს ნევას წყალდიდობას.

ამას გარდა აწეულ ტემპერატურის პერიოდში ატლანტიურ ოკეანიდან თბილი წყალი უფრო გაძლიერებით მოდის ბალტიის ზღვაში.

შემოდგომის და ზამთრის პირველი ნახევარის სითბო გამოწვეულია გოლფშტრომის ტემპერატურით. გოლფშტრომის გამო წელს თბილი გაზაფხული იქნება. ამ მოვლენის გავლენა ზაფხულის დროზე ჯერ ვერ არის სათანადოდ შესწავლილი.

## კრაკოვეცკი დაბრუნდა მოსკოვში.

მოსკოვში დაბრუნდა ალბანეთში მყოფი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კრაკოვეცკი.

## რუტენბერგის დაპატიმრება.

6 იანვარს დააპატიმრეს უორკერს პარტიის ცეკას წევრი რუტენბერგი მექსიკის სასამართლოს გადაწყვეტილებით.

იმავე პარტიის ცეკას მეორე წევრის-რობერტ მინორის გასამართლება დაიწყება 7 თებერვალს.

## 7 წლის ციხე მშრომელთა ბელადს.

ჰელსინგფორსის სასამართლომ 7 წლის ციხე მიუსაჯა პროფორგანიზაციების ყოფილ თავმჯდომარეს—ვიაისენენს. მას ბრალდებოდა სოციალისტური პარტიის დაარსება, მოწოდების შედგენა მშვიდობიანობასა და 1918 წლის აჯანყებაზე.

სოციალისტ მუშების მიერ ვიაისენენი წამოყენებულია რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე.

## მუშათა მოძრაობა.
### ბრძოლა ამნისტიისათვის.

გერმანიის კომპარტიამ გაშალა ენერგიული პროპაგანდა საპარლამენტო გამოსვლების სასარგებლოდ.

გერმანიის პროფკავშირების გაერთიანებულ კავშირის წარმომადგენლებს წაუყენეს შემდეგი შეკითხვები: დაუჭერს თუ არა მხარს გაერთიანებული კავშირი კომუნისტებს ამნისტიისათვის ბრძოლაში; გამოაქვეყნებენ თუ არა კავშირის მიმართვას დელეგაციების მოწვევის შესახებ გერმანიის ყოველი კუთხიდან?

კავშირის წარმომადგენლებმა ამაზე უარი სთქვეს და განაცხადეს, რომ ეს საკითხები უნდა გადაჭრას პოლიტიკურ პარტიებმა.

## პროტესტი დუარენში გაფიცულ მუშების დახოცვის გამო.

პარიზის კომპარტიის ორგანიზაციამ და მუშათა პროფკავშირებმა მოაწყეს ორი საპროტესტო მიტინგი, რომლებზედაც სასტიკი პროტესტი განაცხადეს დუარენის გაფიცულ მუშების დახვრეტის გამო.

მიტინგის შემდეგ გამართულ იქნა მანიფესტაცია. მანიფესტანტებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება. დაიჭირა რამოდენიმე მანიფესტანტი.

## სოციალ-დემოკრატები სადარბაზოთ მეფის კარზე.

დანიის ბურჟუაზიული პრესა დაცინვით იხსენიებს სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც სადარბაზოდ იყვნენ მეფესთან საახალწლოდ და თვალსაჩინო როლს თამაშობდენ სასახლეში.

გაზეთი „სოციალ-დემოკრატენი“ თავს იცავს და სწერს: „სოციალ-დემოკრატები პრინციპში რესპუბლიკანელები, მაგრამ მოქმედებენ კონსტიტუციის საფუძვლების მიხედვით.

## „საფრანგეთის რესპუბლიკის უფლების შელახვისთვის“

### ბურჟუაზია ვერ ითმენს სიმართლეს.

ტუნისში (საფრანგეთში) კომუნისტურ გაზეთმა გამოაქვეყნა წერილი, რომელიც „შეურაცყოფს საფრანგეთის უფლებებსა და რწმუნებულებას ტუნისში“. ამას გარდა გაზეთში მოთავსებული იყო აგრეთვე „საფრანგეთის წარმომადგენლების შეურაცხმყოფელნი“ სურათები.

ამის გამო საგამომძიებლო ძალებმა კვლავ განაახლეს საქმე ხსენებულ გაზეთის რედაქტორის წინააღმდეგ.

სასამართლოს გამომძიებელმა მისცა განკარგულება მოახდინონ ჩხრეკა ტუნისის კომუნისტებს შორის.

## საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკება შეწყვეტილია.

გერმანიის პრესა იუწყება, რომ საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკება, რომელიც სწარმოებდა პარიზში, პარიზიდან გერმანიის მრეწველებისა და ექსპერტების წასვლის გამო შეწყვეტილია.

## სომხეთი.
### სასოფლო სამეურნეო გადასახადი.

1-ლ იანვრამდი მთელ სომხეთში შემოვიდა სასოფლო სამეურნეო გადასახადი 1.448.500 მანეთის რაოდენობა.

## მზრუნველობა წითელ-არმიელთა ოჯახებზე.

კარაკლისის ალმასკომის დადგენილებით წითელ-არმიელთა ოჯახები სარგებლობენ საექიმო დახმარებით უფასოდ.

## ყინვები ლენინაკანში.

ლენინკანში, ძლიერი ყინვებია. ამის გამო 7 იანვარს შეწყვეტილ იქნა მეცადინეობა სკოლებში.

კარაკლისის ჰიდრო-სადგური არ მუშაობს.

## ადგილობრივი ცნობები.
### დაზარალებულთა დამხმარე სამეული აზერბაიჯანში.

აზერბეიჯანში სტიქიურ უბედურების გამო, რომელიც მიაყენა მას ქარ-ბუქმა და იმ შედეგების თავიდან ასაცილებლად რომელიც მოსალოდნელია თოვლის დნობის შემდეგ წყალდიდობით, აზერბეიჯანის ცაკმა დაარსა სამეული, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს გლეხობას და მიიღოს ზომები მოსალოდნელ წყალდიდობის წინააღმდეგ.

### ერთდროული გადასახადი.

აზერბეიჯანში შემოღებულ იქნება ერთდროული გადასახადი მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებთა სასარგებლოდ. გადასახადიდან თავისუფლდებიან მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ღებულობენ თვიურად 75 მანეთზე ნაკლებს; თავისუფლდება აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეები, მილიციონრები, უმუშევრები და ინვალიდები.

წინასწარი გამოანგარიშებით შეკრებილ უნდა იქნას 600.000 მანეთი.

## რეაქციის მობილიზაცია.
### ინგლისის იმპერიალიზმი რეაქციას ხელმძღვანელობს.

შეტევაზე გადმოსული ბურჟუაზიული რეაქცია ბობოქრობს დღეს მთელ ევროპაში.

გაშიშვლებული იმპერიალიზმი აგრესიულ ნაბიჯებს დგამს როგორც ს. ს. რ. კავშირის აგრეთვე წვრილ და დაჩაგრულ ერთა წინააღმდეგ.

ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის ინგლისის კონსერვატიულ ბურჟუაზიას და მის მთავრობას.

მთავრობამ, რომელმაც თავისი მოვლენების წინა დღეებში ჩაიდინა ისეთი სამარცხვინო აქტი, როგორიც არის ცგრედწოდებულ „ზინოვიევის წერილი“ და რომლის საქმიანობის პირველი ნაბიჯი იყო საბჭოთა მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულების გაუქმება.

ინგლისის იმპერიალიზმი უთმობს საფრანგეთს მთელ რიგ სერიოზულ საკითხებში. ის არ მოითხოვს საფრანგეთისაგან დაუყონებლივ განთავისუფლება ოკუპაცია ქმნილ გერმანიის ტერიტორიისა, როგორც ამას გულისხმობდა ლონდონის ხელშეკრულება. ამასთან ერთად ჩემბერლენი არ სთხოვს ერიოს ვალების დაუყონებლივ გადახდას. სამაგიეროდ ინგლისის გახრწნილი ბურჟუაზია მოითხოვს საფრანგეთიდან მხარის დაჭერას ახალშენების ალაგმვაში და ს. ს. რ. კავშირისადმი წარმოებულ მტრულ პოლიტიკაში.

თავის მოგზაურობის დროს ის უთანხმდება მუსოლინს და მათი და სამხრეთ სლავიის ფულების და აგენტების საშუალებით ხდება აჯანყება ალბანეთში. აჯანყებულები ამარცხებენ მთავრობის ჯარებს და მდგომარეობის ბატონ-პატრონად ალბანეთში ხდება ინგლის-იტალო-სამხრეთ სლავიის კაპიტალის აგენტი, ვინაც ახმედ ზოგუ.

### ინგლისის იმპერიალიზმი ავიწროებს მცირე ერებს.

ინგლისის კონსერვატორები უსასტიკეს ულტიმატუმს უყენებენ ეგვიპტის მთავრობას და მოითხოვს მისგან ჯარების გამოყვანას სუდანიდან და ახდევინებს უზარმაზარ კონტრიბუციას, ერთ-ერთ ინგლისელ სატრაპის მოკვლის გამო. ინგლისის იმპერიალიზმი მარტო პოლიტიკური ღონისძიებანით როდი განისაზღვრა ეგვიპტისადმი „ის უსპობს საშველებას ეგვიპტეს რათა მან ისარგებლოს მდ. ნილოსით, ურომლისოდაც ეგვიპტის მეურნეობა წარმოუდგენელია. თურმე ინგლისელ იმპერიალისტებს ეს მდინარე სდომებიათ ჰეზირახის ველების მოსარწყავად თავიანთი ბაბის პლანტაციებისათვის, რომლის ერთი მსხვილი აქციონერთაგანია ჩვენთვის კარგათ ცნობილი ლორდი კერზონი.

და თუ არ დავივიწყებთ, რომ პოლიტიკური მოვლენები დონის ძიებანი ეკონომიურ ინტერესებიდან გამომდინარეობენ აქ არაფერმა არ უნდა გაგვაკვირვოს.

### ერთა ლიგა კი უარს ეუბნება მცირე ერებს დახმარებაზე.

ეგვიპტის მთავრობამ მიმართა ერთა ლიგას. იქიდგან კი (ალბად ჩემბერლენის ბრძანებით, რადგანაც ის ჩემბერლენების ლიგაა ასე უპასუხეს, რომ ეგვიპტე ვერავითარ დახმარებას ვერ მიიღებს ლიგიდან რადგანაც ის არ არის ლიგის წევრით. თურმე ამ ავაზაკთა ლიგის წევრობაა საჭირო, რომ ვინმემ არ გაგსრისოს! განა კი მიიღებდა ეგვიპტეს თავის წრეში ერთა ლიგა? ერთა ლიგა ეს ხომ გამარჯვებული ანტანტის ორგანიზაციაა ეს ხომ მძარცველების და მყვლეფელების ლიგაა?

განა წარმოსადგენია ამ წრეში გაძარცულის გაყვლეფილის და დაჩაგრული ერების მიღება?

არავის არ უნახავს და არც გაუგონია ჯერ რომ ერთა ლიგა დაჩაგრული წვრილი ერების მშრომელი მასის და მისი განმანთავისუფლებელი მოძრაობის ქომაგი ყოფილიყოს.

ჩემბერლენის პოლიტიკურ გასეირნებას ევროპის მსხვილი სახელმწიფოებისაგან ანტი-საბჭოთა ბლოკის შესაკვრელად, მოყვა ჩვენთვის ცნობილი ბულგარეთის ფაშისტური მთავრობის თავმჯდომარის პროფ. ცანკოვის მოგზაურობა, ბალკანეთის სახელმწიფოებში. ამ პროფესორის განზრახვაც იგივე იყო რაც ბ-ნ ჩემბერლენის ჩვენ არ ვიცით თუ რამდენად მიაღწია მიზანს ბულგარეთის მუშების და გლეხების სისხლით გაუმაძღარმა ცანკოვმა, მხოლოდ მასაც რომ არ ასვენებს კომუნიზმის წითელი საშიშროება ეს აშკარაა...

### დოუესის გეგმა ანუ ევროპის და ამერიკის კაპიტალის კლანჭებში ტყვედ ჩავარდნა.

ამ რამოდენიმე თვის წინეთ წვრილ ბურჟუაზიულმა მყვირალებმა. მთელ მსოფლიოს ამცნეს ლონდონის კონფერენციიდან, რომ „მიღწეულია ყველა სახელმწიფოებს შორის შეთანხმება, მიიღეს დოუესის გეგმა“-ო და ამით სურდათ დაემყარებიათ ქვეყანასა ზედ მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

ცხოვრების მწარე სინამდვილემ ჩქარა დაგვანახვა მახინჯი სახე ამ სამარცხვინო აქტისა ეს იყო დროებითი, ისიც მოჩვენებითი, წონასწორობის დამყარება ევროპაში, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ამერიკის უამრავი კაპიტალის დაბანდება ევროპაში.

როგორც ვიცით ლონდონის ხელშეკრულება ვერ ხორციელდება. რური არ იცლება ევროპაში მშვიდობიანობის დამყარებაც არ მოხერხდა, რომელიც ეგ ხომ საჭირო იყო ამერიკის კაპიტალის საქმიანობისათვის და დოუესის გეგმაც კრახის წინაშე დადგა.

### კაპიტალის დამხმარე ძალა მე-2-ე ინტერნაციონალი.

უკანასკნელი პერიოდის ბურჟუაზიულ რეაქციის ალვირახსნილ თარეშის აქტებს თითქოს რაღაც საგრძნობი აკლდა და] ეს მარგალიტიც შეემატა რეაქციის მოღვაწეობას. ეს არის მე-2-ე ინტერნაციონალის და მისი პარტიების ამოქმედება.

ჩვენ ყველამ კარგად შევეჩვიეთ იმ გარემოებას, როდესაც კაპიტალი უტევს ცოტათი მიღწეულ და თავდაცვაზე გადასულ რევოლიუციონურ მოძრაობას; მსოფლიო მენშევიზმი ეს ბურჟუაზიის მესამე პარტია უსათუოდ პირველ რიგებშია ბურჟუაზიისა.

როგორ შეიძლებოდა, რომ ეხლაც აგრე არ ყოფილიყო?

საერთაშორისო მუშათა განმათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ ზომების გამოსამუშავებლად ჩემბერლენის და ცანკოვის მოგზაურობის ლოღიკური დაგვირგვინება ეს მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების თათბირი არის, რომელიც ეხლა მუშაობს ბრიუსელში.

ყოველივე ეს კიდევ ზედმეტად ამტკიცებს, იმ აზრს, რომ ვერავითარი ბურჟუაზიული და დემოკრატიული რეცეპტი ვერ იხსნის ევროპას კრახისაგან. სოციალისტურ რევოლიუციის აჩრდილი მოწოლილია ევროპაზე. მხოლოდ პროლეტარიატს, შეუძლია იხსნას ის იმ ქაოსიდან, რითაც ხასიათდება მისი პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრება ამ 10—15 წლის განმავლობაში.

ა. რ.



## დრო, მოვძებნოთ.

პირველ ლეგიონის ცხენოსან მზვერავ მწყობრში აღსანიშნავია ერთი ნაკლი.

ეს გამოიხატება შემდეგში: ჩვენ ვატარებთ ტოლოდებს რაც მეცადინეობაში მეტად გვიშლის ხელს. ცხენზე მოძრაობის დროს იშლება და ხან ქამარში უნდა შევისკვნათ და ხან სრულიად შემოვიხსნათ, რაც ძალიან აფერხებს ჩვენს მეცადინეობას. ამის შესახებ არა ერთხელ დაიწერა მოთხოვნილება და გაეგზავნა ვისაც ჯერ არს, მაგრამ მოთხოვნილება— მოთხოვნილებად დარჩა.

მართალია, ჩვენი სახელმწიფო, ჯერ-ჯერობით, არ არის ისეთი მდიდარი, რომ ყოველგვარი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნას, მაგრამ ჩვენი მოთხოვნილება მცირედია და მასთან საქმისთვის სასარგებლო. თუ ჩექმები არ მოგვეცემა უშამბის გეტრები მაინც მოგვეცეს, რაც გაგვიადვილებს ცხენზედ მეცადინეობას.

მზვერავი მაქსიმეშვილი.

## უნდა გამოსწორდეს.

პირველი ლეგიონიდან გარნიზონში საყარაულოდ იგზავნებიან პირველი ასეულის წითელ-არმიელები. საყარაულო შენობაში გუშაგები ცივდებიან, რადგან მათ შეშას არავინ აძლევს. ლეგიონში დაბრუნებისას წითელ არმიელები ხშირად შესჩივიან უფროსებს ამის გამო, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი ყურადღება მათთვის არ მიუქცევით. ასეთ მოვლენასაც ჰქონდა ადგილი: ყარაულის უფროსმა გუშაგი ასეულში გამოგზავნა შეშის მისაღებად. ასეული არ არის ვალდებული საგარნიზონო ყარაულში გასულებს უგზავნოს შეშა.

ასეთი მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს, მიაქციეთ ყურადღება.

სამხედრო არხეტელი.

## საჭიროა გამოქვეყნდეს წრეებში მუშაობის გეგმა.

წრეებში მუშაობის პროგრამა უკვე დაურიგა ჩვენმა პოლიტგანყოფილებამ ნაწილებს, მაგრამ ეს მაინც და მაინც ვერ იძლევა მთლიან წარმოდგენას, ვერ გვარკვევს თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ სხვა და სხვა წრეებში. ასეთი მდგომარეობა არის მაგალითად ჩვენს მეოთხე ლეგიონში. არა გვყავს სათანადოთ მომზადებული წრეების ხელმძღვანელები. არც შეიძლება მათი გამოცვლა, რადგანაც უკეთესები არ მოგვეპოებიან და ამიტომ მეცადინეობა გაუგებარი ენით სწარმოებს, გარდა ერთი სანიტარული წრისა.

სხვა წრეებში მეცადინეობის დროს არ არის დაცული თანდათანობა, ადვილიდან-ძნელზე გადასვლა და სხვა. ჩვენი ხელმძღვანელები პირიქით, რთულიდან ადვილზე გადადიან და ამნაირად ყველაფერი ირევა.

ყველა ეს რომ აცილებული იქნეს თავიდან, საჭიროა ჩვენს გაზეთში ხანდისხან შუქდებოდეს წრეებში მუშაობის გეგმები და სხვა და სხვა საკითხები. ძლიერ შეგვიწყობს გაზეთი ხელს თუ მოხერხდება ამ საქმის მოგვარება. მაშინ ჩვენ უფრო სისწორით ავიღებთ მუშაობის კურსს და ადგილი აღარ ექნება ასეთ არევ-დარევას.

სამხედრო ჯღანკი.

## მე-2-რე ლეგ. ცხოვრებიდან.

დეკემბრიდან აჭარისტანში დაიწყო 1899-1900 და 1901 წელ. დაბ. მოქალაქების ტერიტორიალ. ნაწილებზე მიწერა რომელიც ძლიერ ხალისიანად მიმდინარეობს. 2-რე ლეგიონის ბიურო-კოლექტივმა გამოჰყო მომზადებული ამხანაგები—მეთაურები— პოლიტ-შემადგენლობა და დაგზავნა ბათუმის ყველა ქარხნებში მოხსენებების ჩასატარებლად, ტერიტორიალურ ჯარის მნიშვნელობის შესახებ.

ყველა ქარხნებში ამხანაგებს მრავალ რიცხოვან მუშათა კრებებზე უხდებოდა მოხსენების გაკეთება.

მოხსენების შემდეგ მუშები იძლეოდენ მრავალ შეკითხვებს, საიდანაც ირკვეოდა მათი დაინტერესება ტერიტ-ჯარის შექმნით.

კრებებზე მუშებს გამოქონდათ რეზოლიუციები, სადაც აღნიშნავდენ ტერიტორიალურ ჯარის შექმნის საჭიროებას და თვით მუშები სიტყვას იძლეოდენ, რომ ისინი ყოველთვის მზად იქნებიან ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლებას ამ დიად საქმეში.

ლეგსამხედრო გუჭუ.

## 1. ლ. ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის ცხოვრებიდან.

(სამხედრო საქმე)

ახალ წვეულების ჩვენთან მოსვლის პირველ დღეებში საკავშირო ასეულში მუშაობა შეფერხდა, რადგანაც ახალწვეულებს განწესრიგებას დიდი შრომა და დრო დასჭირდა. ახალწვეულების განწესრიგების შემდეგ თავიანთ მწყობრებში, განახლდა სამხედრო და სპეციალური მეცადინეობა.

ახალწვეულებმა დიდი ყურადღებით და ენერგიით მოჰკიდეს ხელი სამხედრო საქმეს, საუცხოვოთ შეისწავლეს იარაღის ხმარება და გამოყენება.

უმთავრესად კი სამხედრო მეცადინეობა და სპეციალური მიმდინარეობს ჯერ-ჯერობით სიტყვიერად. რადგანაც ამინდი გვიშლის ხელს პრაქტიკული სამხედრო მეცადინეობის წარმოებაში.

დიდ ენერგიას იჩენენ მეცადინეობაში, მოვლინებული წითელ-არმიელები, რომლებიც სათანადოთ მომზადებულნი და ძლიერ დაინტერესებულნი არიან რომ წ. არმიელს მისცენ სათანადო ცოდნა ყოველ საქმეში. იმედია რომ მათი ხელმძღვანელობით სულ მოკლე ხანში ჩვენი წ. არმიელები დაასრულებენ სამხედრო საქმის შესწავლას.

წითელ-არმიელები გადიან აგრეთვე სხვა მთავარ საგნებს ტოპოგრაფიას სასანგრო საქმეს და სხვა.

სამხედრო. შალაშინი.

# პარტიული ცხოვრება

## პოლიტ-განყოფილების კომუჯრედში.

2 იანვარს შესდგა პოლიტ-განყოფილების კომუჯრედის მორიგი კრება.

მოსმენილი იქნა თბილისის საბჭოს წევრების ამხ. ამხ. შაჟუნის და გედევანიშვილის მოხსენებები საბჭოს მუშაობის შესახებ.

პირველმა აღნიშნა თბილისის საბჭოს სახალხო განათლების სექციის მუშაობის შედეგი. მიუხედავად მრავალ დაბრკოლებებისა, საბჭოს მაინც დამაკმაყოფილებლად ნაყოფიერი მუშაობა უწარმოებია. ამხ. განსაკუთრებული ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქართულ დივიზიის ნაწილებიდან დელეგატები სუსტად ესწრებოდნენ საბჭოს სხდომებს, რაც თავისებურ გავლენას ახდენდა საერთო მუშაობაზე.

თანამომხსენებელმა ამხ. გედევანიშვილმა აღნიშნა საბჭოს მუშაობის მიღწევები 1923 24 წლ. განმავლობაში, როგორც არის მტკიცე ბიუჯეტის შედგენა ტრამვაის მიმოსვლის გაუმჯობესება, ელექტრო-განათების, აბანოების საკითხი და სხვ. მნიშვნელოვან დეფექტად საბჭოს მუშაობისა ამხ. სთვლის საბინაო საკითხის მოუგვარებლობას.

კრებამ დაადგინა: ა. ქართ. დივიზიიდან გაგზავნილ დელეგატების მუშაობა საბჭოში გაძლიერებულ იქმნეს, რისთვისაც დაევალოს შტაბიდან და პოლიტგანყოფილებიდან არჩეულ დელეგატებს სისტემატიურად დაესწრონ საბჭოს სხდომებს.

ბ. საბჭოს მომავალ არჩევნების დროს დელეგატებად იქმნენ გაგზავნილი ისეთი პირები, რომელნიც შესძლებენ მუშაობას საბჭოში.

გ. სამხედრო მოსამსახურეების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, როგორც არის ბინის, წყალსადენის, განათების და სხვ. საკითხები, კრება სურვილს გამოთქვამს, რათა საბჭოში, მომავალ მოწვევაზე დაარსებულ იქმნეს სამხედრო სექცია, რაც უკვე არის შემოღებული ქ. ქ. მოსკოვში, აქოში და საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ქალაქებში.

პარტკორი რუდოვსკი.

## პირველი ლეგ. მესამე ასეულის კომუჯრედში.

28 დეკემბერს შესდგა ხსენებული ასეულის ღია კრება, რომელსაც დაესწრენ პარტიული და უპარტიო ამხანაგები.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ჩვენი დამოკიდებულება საფრანგეთთან, ძველი ჯარი და წითელი არმია, რემედასის შესახებ, პარტიაში შემოსვლის მსურველთა განცხადებების განხილვა და სხვა მიმდინარე საკითხები.

საფრანგეთთან ჩვენი სოციალისტური რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩახუნაშვილმა. მან ნათლად გადაგვიშალა საფრანგეთის კაპიტალისტების ზრახვები და იქაური ბურჟუაზიის თარეში მუშათა კლასის ზურგზე.

კრებამ მოხსენებაზე გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც დადებულია 3 ტიოსანი მხედრის ფიცი, რომ თავის მხრივ ყველაფერს გააკეთებენ და იბრძოლებენ მსოფლიო და კერძოთ კი საფრანგეთის კაპიტალისტების წინააღმდეგ.

შემდეგ განხილული იქნა განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ. მიმდინარე საკითხები სერიოზული ხასიათის შეიქნენ, ამან გამოიწვია ამხანაგებისაგან მრავალი შეკითხვები, რომლებსაც გაეცათ სათანადო პასუხი საჭირო ახსნა განმარტებით.

წ. არმ. ბეთლეველი.

## 1-ლ ლეგიონის 4 ხე ასეულში.

1-ლ იანვარს შესდგა 1-ლი ლეგიონის მე-4 ხე ასეულის კომუჯრედის კრება. დაესწრო კომპარტიის წევრები, კანდიდატები, კომკავშირის წევრები და უპარტიო წითელ არმიელები. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები. 1) წარსული ოქმის განხილვა. 2) ჩვენ და საფრანგეთი. 3) გაზეთების კვირეული მიმოხილვა.

4) საკონტროლო კომისიის არჩევა. 5) მიმდინარე საკითხები.

ამხ. ჩახუნაშვილმა ნათლად გააშუქა საფრანგეთის დღევანდელი მდგომარეობა და საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა.

დამსწრე ამხანაგების მიერ მიცემულ იქნა შეკითხვები, რომელთაც მომხსენებელმა სრული დამაკმაყოფილებელი პასუხი მისცა.

ამხ. ცინცაძემ გააკეთა კვირეული მიმოხილვა, რომელმაც გააცნო ამხანაგებს საერთაშორისო მდგომარეობა.

ამხ. ჯალაღანიამ გააცნო კრებას საკონტროლო კომისიის როლი და დანიშნულება. არჩეული იქნა კომისია სამი წევრისაგან შემდგარი.

მიმდინარე კითხვებში იდგა სხვა და სხვა წითელ-არმიელთათვის საინტერესო საკითხები, რომლების გარჩევის დროსაც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ წითელ-არმიელები.

სამხედრო ივ. ბარელიძე.

# ამბები სოფლებიდან.

### წყალდიდობის წინააღმდეგ.

გორის აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს წყალდიდობისაგან დასაცველათ გორის სადგურის რაიონში გასჭრას დიდი არხი.

### კოოპერატივი სოფლათ.

სოფელ აბისის (გორ. მაზრა) გლეხებმა დაადგინეს ადგილობრივ გახსნან კოოპერატიული დუქანი. აღმასკომი მათ შეპირდათ დახმარებას.

### აბანო სოფლათ.

სოფ. ზანძის (სამეგრელო) თემაღმასკომს განზრახული აქვს ადგილობრივ ააშენოს აბანო.

### ტყავეულობის ქარხანა გორში.

გორის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებამ გადასწყვიტა გაუმჯობესოს ადგილობრივი ტყავეულობის ქარხანა (დაბახანა) და ამ მიზნით შეიძინოს მანქანები.

### ალმშენებლობა სოფლათ.

სოფ. ახალქალაქის (გორის მაზრა) აღმასკომმა დაადგინა შეაკეთოს ადგილობრივი აღმასკომის ბინა, საავადმყოფო და ყველა ჩამორთმეული სახლები.

### სასოფლო-სამეურნეო უჯრედები.

გადაწყვეტილია, გორის მაზრის ყველა სოფლებში მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო უჯრედები მარტამდე.

### საბინაო კოოპერატივები.

ბორჯომში, ხაშურში და გორში გადაწყვეტილია დაარსდეს მუშათა საბინაო საამშენებლო ამხანაგობები.

### ელექტრო სადგური ყარაიაზში.

ყარაიაზში ამჟამად აშენებენ ელექტრო სადგურს მუშაობა დასრულდება ახლო ხანში.

### ვაზების სანერგე სოფ. ხაშმში.

ტფილისის აღმასკომის სამიწად მოქმედო განყოფილებამ გადასწყვიტა გააფართოოს ამერიკული ვაზის სანერგე.

# ახალი ამბები.

— **კრება პოლიტგანყოფილებაში.** შაბათს, 12 საათზე პოლიტგანყოფილებაში დანიშნულია თან მშრომელთა საზოგადო კრება. დასწრება სავალდებულოა,

— **ზურგს უკან მდგომ ნაწილების უჯრედების** საყურადღებოთ ცხადდება, რომ დღეს საღამოს 6 საათისათვის დანიშნულია სხდომა პოლიტგანყოფილებაში. გასარჩევია ფრიად საყურადღებო საკითხი: ძომავალ პარტწმენდის შესახებ.

— **პოლიტ-მეცადინეობის შესახებ.** 1-ლი დივიზიის პოლიტ-განყოფილებამ გამოსცა „პროგრამები პარტსაგანმანათლებლო მუშაობის და საშუალო-უფროს მეთაურთა პოლიტ მეცადინეობის შესახებ 1-ლ დივიზიაში.

— **საბჭოთა არჩევნების დაყენება.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის ცნობით საბჭოთა არჩევნები რესპუბლიკაში დაიწყება 15 იანვრიდან.

— **გლეხკომების ყრილობა.** იანვარში განზრახული გლეხკომების ყრილობა გადადებულია რესპუბლიკაში საბჭოთა არჩევნების დასრულებამდე.

— **შრომის მუზეუმი.** განზრახულია იანვრის შუა რიცხვებში გაიხსნას შრომის მუზეუმი და პირველათ დაათვალიერებიონ სამხედროებს და მუშკორებს.

— **საგანმანათლებლო მუშაობისათვის.** განათლების კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით წელს, განზრახულია დაიხარჯოს საკულტგანმანათლებლო საქმეებისათვის 80 ათასი მან.

## ხელოვნება.

— წით. არმიელთა და მუშათა დაახლოების საღამო.

დღეს წითელ-არმიელთა ცენტ. კლუბში გაიმართება, წითელ-არმიელთა და მუშათა დაახლოების საღამო.

— ხელოვნების მუშაკთა დღე. ორშაბათს, 12 იანვარს, ხელოვნების მუშაკთა ტრადიციულ დღეს, გაიმართება დიდი საღამო ოპერის თეატრში.

— ახალი ოპერა. დღეს ოპერის თეატრში დაიდგმება ახალი ოპერა „წინასარმეტყველი."

— საშეფო წარმოდგენა წითელ არმიელთათვის. დღეს წითელ თეატრში პროლეტკულტის მიერ გაიმართება საშეფო წარმოდგენა წითელ-არმიელთათვის. წითელ არმიელებს და უფშემადგენლობას ოჯახის წევრებით შეუძლიანთ დაესწრონ უფასოთ.

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲐ.

## ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲡᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

საზღვარ-გარეთის პრესა დიდ ადგილს უთმობს ცნობებს მარსის შესახებ, რომელიც გამოაქვეყნა პროფესორი გამილტონმა.

ეს უკანასკნელი ათვალიერებდა მარსს კუნძულ იამაიკიდან სამი თვის განმავლობაში და ხელსაყრელ ატმოსფერულ პირობების გამო, შესაფერ რეზულტატებსაც მიაღწია. პროფესორი გამილტონი უმთავრესად აქცევდა ყურადღებას ეგრედ წოდებულ მარსის არხებს და მისი გამოკვლევით დამტკიცებული იქნა ამ უკანასკნელთა არსებობა.

**ლოუელის თეორია.**

ლოუელი ცნობილი ასტრონომი იყო, რომელმაც პირველად გამოსთქვა ის აზრი, რომ მარსის ზედაპირზე შემჩნეული ხლართები—ხელოვნურად გაკეთებული არხები უნდა იყოსო. სხვა ასტრონომებმაც შეამჩნიეს ერთგვარი ბინდით დაფარული სივრცეები, რომელსაც ისინი სთვლიდენ დამშრალ ზღვებათ, მაგრამ ეს აზრიც თანდათან უარყოფილი იქნა, რადგან ეს ბინდით მოცული სივრცეები ხშირად იცვლიდენ თავის ფერმას და ხანდახან კიდევაც ჰკარგავდენ ჩვეულებრივ ფერს.

ლოუელი კი ამბობდა, რომ წყალი თოვლისა და ყინულის სახით იმყოფება მარსის მხოლოდ პოლიუსებზეო.

ამის გამო მარსის მცხოვრებლებმა თავისი პლანეტა დაქსელეს ირიგაციული არხებით, რომ პოლიუსებიდან მარსის სხვა ნაწილებშიდაც გაეყვანათ წყალიო. ეს მხოლოთ ზაფხულობით ხდება. როდესაც თოვლი და ყინულები იწყებს დნობას. მარსის არხების მკაფიოდ დანახვა დამოკიდებულია.

**მცენარეულობის.**

სიდიდეზე როდესაც პოლიუსებიდან წყალი გადის ამ არხებში. მარსზე შემჩნეული შავათ დაბინდული სივრცეები უნდა იყონ მცენარეულობა—ტყეები და სხვა.

პროფესორი გამილტონი პირველად წინააღმდეგი იყო ლოუელის თეორიის, მაგრამ ამ უკანასკნელად მისმა დაკვირვებამ სრულიად დაარწმუნა ის ამ უკანასკნელის საფუძვლიანობაში. გამილტონმა შეამჩნია მარსის დიდ სივრცეებზე აღნიშნული შავად დაბინდული არხების პროგრესიულად ზრდა და შემდეგ მათი ნაწილობრივად გაქრობა, შემდეგ ისინი ისევ ჩნდებოდენ პლანეტის დისკის სხვა ადგილებზე.

ეს გარდანაცვლებანი მით აიხსნება-ამბობს გამილტონი, რომ არხები კიდევ არიან შეერთებული ერთმანეთთან სხვა დამხმარე არხებით რათა სავსებით იქნეს გამოყენებული პოლიუსებზე არსებული წყლის მარაგიო.

**დასკვნა.**

პროფესორ გამილტონის დაკვირვებიდან ასეთი დასკვნა შეიძლება იქნეს გამოტანილი:

— მარსზე უნდა სცხოვრობდენ გონივრული არსებანი, რომლებსაც შეუძლიათ აწარმოონ ასეთი დიდი ტეხნიკური საამშენებლო საქმეები.

**რენტგენის სხივების ახალი გამოყენება.**

ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ იყო გავრცელებული რენტგენის სხივების მოხმარება კვერცხების შემოწმებისათვის. მისი საშვალებით იგებდენ თუ რამდენად საღი იყო კვერცხი და რამდენად გაუძლებდა ის მგზავრობას. ამ ჟამად რენტგენის სხივები გამოიყენეს აგრეთვე ხილის გასასინჯათ. ხილს ჰქონია ერთგვარი ჭია, რომელიც სცილდება მას, მაგრამ იქვე სტოვებს კვერცხებს, რაც ჩვეულებრივ საშვალებით ძნელი შესამჩნევია. ხილის გადატანის დროს დიდ მანძილზე, ეს კვერცხები თავისებურ გავლენას ახდენს ხილზე და აფუჭებს მას. რენტგენის სხივებით ეს კვერცხები ადვილი აღმოსაჩენია ხილში. ასეთი ხილი აღარ მიაქვთ და აღარ უფუჭდებათ ის.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ

**ამხ. ტიშეს.** თქვენი წერილი „მიიღეთ ზომები" გადაეცა დივიზიის პარტკომისიას.

**ამხ. ბზიკს.** თქვენი „მოგონება არ გავა. არ დაიბეჭდება არც „დავივიწყოთ ძველებური".

**ამხ. სუნჯუნელს.** „მეთაურის სიმთვრალის შესახებ" გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. კლიტეს.** თქვენი კორესპონდენცია „ღრმად მასებში არ დაიბეჭდება" მოგვაწოდეთ სხვა შინაარსი ცნობები.

**ამხ. ნიჟარაძეს.** თქვენი „ვაიუის" ხმაზე დაწერილი ლექსი არ გავა. მოგვაწოდეთ ცნობები ნაწილის ცხოვრების შესახებ.

**ამხ. გ მურელიძეს.** „მოსპეთ დაუდევრობა" გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

# ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის ფურცლებზე ადგილი დაუთმოთ ჩემს გულწრფელ განცხადებას.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და მშრომელი ხალხის საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ მე ჯერ კიდევ ნორჩი ახალგაზრდა 1913 წლიდან ჩავები რევოლიუციონურ მოძრაობაში და თანაუგრძნობდი ს. დ. მ. პარტიას, ხოლო 1914 წლიდან ფაქტიურად შევედი ზემოხსენებულ პარტიაში რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ცარიზმის ჩამოგდებაში.

1918 წლიდან ს. დ. მ. პარტია აშკარად გადაიხარა მარჯვნივ და ის გამოეთიშა პროლეტარულ რუსეთსა და დამოუკიდებელი (საქართ.) რესპუბლიკა გამოაცხადა, ვითომც საქართველოს გადარჩენის მიზნით ბარბაროსულ რუსეთისაგან. 1920 წლიდან იჩინა თავი უკმაყოფილებამ უფრო რევოლიუციონურად და მუშური იდეოლოგიით გაჟღენთილ ელემენტებში, რომლების სიმპატია თან და თან იხრებოდა ბოლშევიკურ პარტიისაკენ. გასაბჭოების შემდეგ ს. დ. მ. პარტიამ ერის განთავისუფლების ლოზუნგის ქვეშ დაიწყო ბრძოლა არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ და მე როგორც პარტიის წევრი თანახმად პარტიული დისციპლინისა განვაგრძე არალეგალური მუშაობა, იმ პრინციპით, რომ პარტია მაინც შეინარჩუნებდა კლასობრივ სახეს, მაგრამ ამ მუშაობის უპრინციპობაში და უნაყოფობაში თან და თან ვრწმუნდებოდი და ვერკვეოდი და ხდებოდა ჩემში იდეიურ-იდეოლოგიური გარდატეხა. ვინაიდან ვხედავდი ს. დ. მენშევიკური პარტია 1921 წლიდან ასცდა წმინდა მარქსისტულ გზას და შეჰკრა კავშირი ანტი-სოციალისტურ პარტიებთან- ჩოლოყაშვილიდან დაწყებული ვიდრე მედავითნეებამდე გათავებული. აგრეთვე ვხედავდი საბჭოთა ხელისუფლების ინტენსიურ აღმშენებლობითი მუშაობას კომპარტიის მეთაურობით ეკონომიურ კულტურულ ფრონტზე და სხვა. მე 12 ე პარტყრილობამ ეროვნული საკითხიც დადებითად გადაჭრა. ყოველივე ამის შემდეგ, მე როგორც კლასიური ინსტიქტით გაჟღენთილი, არ შეიძლებოდა დავრჩენილიყავ ხსენებულ პარტიაში და გავწყვიტე კავშირი მასთან არა ოფიციალურად 1923 წლის დასაწყისში და ვიცავდი კომპარტიის ხაზს.

1923 წ. 25 აგვისტოს, ყოფილ მენშევიკური პარტიის კონფერენციის შემდეგ მივიღე კომპარ. ყველა დადგენილებანი და დავდექი მე-3-ე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, რომელიც შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებს მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ, მის საბოლოოდ დასამხობად და მშრომელი ხალხის გასანთავისუფლებლად.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მე-3-ე კომინტერნს!

გაუმარჯოს ს. ს. რესპუბლიკების კავშირს მთელ დედამიწის ზურგზე!

გაუმარჯოს სოციალიზმს—კომუნიზმს!

**ბენიამინ ლ. ჩხიკვაძე.**

31/XII 24 წ.

ქ. ტფილისი.

პასუხისმგებელი
რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

**1-ლ ქ. მ. დ. სამხ. პოლიტ. სკოლის კომუჯრედის პრეზიდიუმისაგან.**

კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება ა. ლ. კ. კ. წევრებიდან კომპარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1) სიხარულიძე შალვა ასლანის ძე
2) დევაძე კოსტანტინე არჩილის ძე
3) ლეკვეიშვილი შოთა ივანეს ძე და
4) თავართქილაძე ნესტორი ივლიანეს ძე.

1-ლ ქ. მ. დ. სამხ. პოლიტ. სკოლის კომუჯრედის პრეზიდიუმი გთხოვთ თუ ვინმემ იცით აღნიშნულ ამხანაგების უარყოფითი მხარე პარტიაში მიღების შესახებ, გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში წერილობით ან სიტყვიერად კომუჯრედში.

მისამართი: (ავლაბარი 1-ლი ქართული ლეგ. ყაზარმა).

კომუჯრედის პ. მგ. მდივანი: **ი. ლოგუა.**

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

## ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲜᲘ.

თანამედროვე სამხედრო ტეხნიკის და კერძოთ არტილერიის ცეცხლის სიძლიერე ლამის უმწვერვალეს წერტილს აღწევს.

მათი განმანადგურებელი ძალა იმდენათ ძლიერია, რომ სრულიათ შეუძლებელი შექმნა ბრძოლის აშკარათ წარმოება.

ამან გამოიწვია შენიღბვის და კერძოთ ადგილმდებარეობის გამოყენების აუცილებლობა.

ჯარები იძულებული არიან ადგილმდებარეობას მიმართონ იმ პირობით, რომ ერთი მხრივ გამოიყენონ ის როგორც დამფარველი საშვალება მტრის ცეცხლისა და თვალდევნისაგან და მეორეს მხრივ როგორც ხელის შემწყობი ძლიერი ცეცხლის წარმოებისათვის.

ჩვენ ვიცით, რომ ომში საზოგადოთ ჯარის ნაწილები შეიძლება წარმოვიდგინოთ სამ მდგომარეობაში: მოძრაობაში ანუ ლაშქრობაში, დასვენებაში და ბრძოლაში.

ადგილმდებარეობას სამივე შემთხვევაში ფრიად მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯარის მდგომარეობაზე:

სამივე მდგომარეობაში ჯარების ნაწილები ადგილმდებარეობის დიდ გავლენის ქვეშ იმყოფება, უკანასკნელი მათ თავისებურ ხასიათს აძლევს.

ამდგილმდებარეობას შეუძლია როგორც დადებითი ზეგავლენა მოახდინოს ისე უარყოფითი.

პირველ შემთხვევაში ადგილმდებარეობა ფარავს ჯარის დალაგებას, ანუ ლაშქრობას მოპირდაპირის ცეცხლისა და მხედველობისაგან, და ამავე დროს საშვალებას იძლევა ძლიერი ცეცხლის საწარმოებლათ მოპირდაპირის წინაღმდეგ.

მეორე შემთხვევაში გვიძნელებს მოძრაობას, უადვილებს მოპირდაპირეს ჩვენდა შეუმჩნევლად მოგვიახლოვდეს, ამცირებს ჩვენი ცეცხლის სათოფე სივრცეს.

გაშლილ ადგილებში ხიანის შემცირების მიზნით დასაშვებია უფრო გამეჩხრებული დანაწილებული წყობილებანი.

ასეთი ადგილები მისაწდომია თითქმის ჯარების ყველა დარგებისათვის, უადვილებს გაგნებას, ვინაიდან მიმოხილვის სივრცე საკმაოა.

დახურულ ადგილებში უფრო ხელსაყრელი და დასაშვებია შეჯგუფებული წყობილებანი.

ასეთი ადგილები აძნელებს მოძრაობის საშვალებას მეტადრე ცხენოსან ჯარებისა და არტილერიისათვის, მაგრამ იმავე დროს იძლევა ფარულათ მოძრაობის საშვალებას, მოითხოვს მოკლე მანძილზე ძლიერი ცეცხლის წარმოებას.

ოღრო-ჩოღრო ადგილებში, მოძრაობა ძნელია მეტადრე არტილერიისათვის.

ასეთი ადგილები მოითხოვს დაცვის უზრუნველყოფას, ძიებისა და თვალთვალისათვის გაწესებას.

მთაგორიანი ადგილი ყოველგან არ არის მისაწდომი ჯარებისათვის, ზოგიერთ შემთხვევაში ყოფს ერთიმეორისაგან სალაშქრო რაზმეულებს, უადვილებს სათვალთვალო პუნქტების ამორჩევას, მოითხოვს ჯარების თავისებურ ორგანიზაციას და ხელს უწყობს ჩასაფრების მოწყობას.

ერთი და იგივე ადგილმდებარეობის ხასიათი შეიძლება იყ ეს ჩვენთვის როგორც ხელსაყრელი, ისე მავნებელი იმის და მიხედვით თუ როგორ ტაქტიკურ ამოცანას ვაწარმოებთ.

ავიღოთ თუნდაც მდინარე. ხელსაყრელია ის მაშინ, როდესაც იმყოფება ჩვენი გამაგრებულ პოზიციების წინ და ჩვენ მოგერიებითი ბრძოლას ვაწარმოებთ.

მავნებელია როდესაც ჩვენ ხსენებულ პოზიციაზე შეტევითი ბრძოლას ვაწარმოებთ.

ბრძოლაში ადგილმდებარეობა იძლევა ცოტათ თუ ბევრათ საფარს მოპირდაპირის ცეცხლისა და თვალთვალისაგან, ამცირებს ან ადიდებს სათოფე სივრცეს, აძნელებს ან უადვილებს ძიების წარმოებას, ხელს უწყობს ან ხელს უშლის შეტევითი ბრძოლის ან მომგერიებლის კონტრ იერიშზე გადასვლას, უადვილებს ან აძნელებს უეცარ დარტყმას, შემორებას და უკანასკნელად, აადვილებს ან აძნელებს კავშირის დაკავებას.

ლაშქრობის დროს ადგილმდებარეობაზეა დამოკიდებული მოძრაობის სისწრაფე, მისი დაფარულობა და უზრუნველყოფა, დაღლილობა, წყობილების და დაცულობის ფორმა, საბრძოლო წესზე გადასვლის დრო და უკანასკნელად, შეიძლება რომ ადგილმდებარეობა სრულიად მიუწვდომელი იქმნეს ჯარებისათვის.

ჯარების დალაგების დროს ადგილმდებარეობაზეა დამოკიდებული დალაგების მოთავსება, მომარაგება სურსათით, წყლით, ცხენების საკვებით და მტრისაგან თავდასხმის მოლოდინის უზრუნველყოფა.

ერთი სიტყვით მრავალი ფრიად მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ადგილმდებარეობას ჯარების ყოველგვარ მდგომარეობაში. ამიტომ არას დროს უფროსმა არ მიიღებს არავითარ სამოქმედო გადაწყვეტილებას, სანამ არ გაეცნობა სამოქმედო ასპარეზს.

სამოქმედო ასპარეზის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ოთხი საშუალებით: 1. პირადი დათვალიერებით. 2. გრაფიკული გამოხატულებით, რუკებით—ფოტოგრაფიული სურათებით. 3. ადგილმდებარეობის აღწერით და 4 ადგილობრივ მცხოვრებთა გამოკითხვით.

ყველა ამათ შორის უმჯობესი და ხელსაყრელია პირადი დათვალიერების საშვალება, მაგრამ ეს ყოველთვის და ყოველგან შეუძლებელია.

მას შემდეგ შეიძლება, და უმეტეს შემთხვევაში მით ვსარგებლობთ, რუქებისა, გეგმებისა და ფოტოგრაფიული სურათების სარგებლობა.

მ. გ.

ნ. ფ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 1500.